ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს.

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით უთმელიძის ანგარიშს 2015 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით,

დავით უთმელიძე

ქ.თბილისის საკრებულოს წევრი

დანართი 2. (სულ 11 ფურცელი)

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი

№ 10/19631

"29" ოქტომბერი 2015

ფურცლების რაოდენობა 12 ფურცელი

0105, თავისუფლების მოედანი №2

ს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის დავით უთმელიძის

ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დავით უთმელიძე - საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრი, საკრებულოს გარემოს დაცვის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისის წევრი.

1. **ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.**

მე, დავით უთმელიძე, მიმდინარე წელს საკრებულოს მიერ ჩატარებული 25 სხდომიდან, დავესწარი 23 სხდომას. სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების საერთო რაოდენობა შეადგენს 101 დადგენილებას და 380 განკარგულებას. ვმონაწილეობდი მათი განხილვის, შესწორების და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის მიერ ჩატარებული 26 სხდომიდან - 20-ს. განვიხილე და შევისწავლე კომისიაში შემოსული 41 საკითხი. საკითხების ირგვლივ არსებულ შეკითხვებთან დაკავშირებით, შევხვდი მერიის შესაბამისი სამსახურებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული არაკომერციული იურიდიული პირების წარმომადგენლებს. ვმონაწილეობდი კომისიისთვის წარმოდგენილი ინიციატივების დამუშავებაში, შესწორებასა და კომისიის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადებაში საკრებულოს სხდომაზე გასატანად. აღნიშნული საკითხებიდან გამოვყოფდი პროექტებს: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020წწ." ; ,,ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი"; ,,ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი". კომისიის ფარგლებში მივიღე მონაწილეობა განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მომსახურების განხორციელების თაობაზე წერილობითი თანხმობის მიცემის შესახებ, კერძოდ:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, 10 000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა ავარიული ხე-მცენარეების, ასევე ძლიერი ქარის თუ სხვა საგანგებო შემთხვევებში, ხე-მცენარეებისგან გამოწვეული საფრთხის სალიკვიდაციო ღონისძიებები;
- მიმდინარე წლის 13 ივნისს, ქ.თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად, უსაფრთხოების მიზნით, პრევენციული ზომების განსახორციელებლად აუცილებელი ნალექმზომი და წყლის

დონის მზომი სპეციალური ტექნიკის შეძენა, რომელიც უზურნველყოფს საჭირო მონაცემთა შეკრებას მოსალოდნელი ნალექისა და წყლის დონის განსაზღვრის მიზნით. გაცემული წერილობითი თანხმობის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა სპეც. ტექნიკის შეძენა და შემდგომ, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში მონტაჟი.

ვესწრებოდი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ 2014 წ. შესრულებელი სამუშაოების ანგარიშის მოსმენას. ასევე, მონაწილეობა მივიღე ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების და გარემოსდაცვითი პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებში.

2015წ. ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 42 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 36-ს და მონაწილეობა მივიღე 214 საკითხის შესწავლაში, შესწორებასა და კომისიის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადებაში საკრებულოს სხდომაზე გასატანად. აქტიურად ვმონაწილებდი ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტაციის დამუშავებაში.

ჩატარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ 15 სხდომა, ამათგან 10 სხდომას ვესწრებოდი, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე. ყოველი სხდომისას, ფრაქციის წევრები განიხილავდნენ საკრებულოში მიმდინარე საკითხებს, ამზადებდნენ ფრაქციის პოზიციებს, შენიშვნებსა და ინიციატივებს შესაბამის კომისიებში წარსადგენად. ფრაქციის თავმჯდომარეობის პერიოდში განხილულ იქნა 29 საკითხი,რომელთა თაობაზეც, ფრაქციის წევრების მიერ, ხდებოდა რეაგირება საკრებულოს სხდომების მსვლელობისას.

ინფორმაცია დავით უთმელიძის ფრაქცია - „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ გაწეული საქმიანობის შესახებ. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის წევრები თვეში ერთხელ მართავენ ფრაქციის სხდომას საკრებულოში მიმდინარე საკითხებთნ დაკავშირებით. ფრაქციის წევრები წარმოდგენილნი არიან საკრებულოს სხვადასხვა კომისიებში და ფრაქციის სხდომაზე განიხილავდნენ საკრებულოს კომისიებში მიმდინარე საკითხებს და აჯერებენ საერთო პოზიციებს. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის

წევრები ამზადებდნენ ინიციატივებს კომისიებში და საკრებულოს სხდომებზე წარსადგენად.

მათ შორის,

1. ფრაქციის ინიციატიცით მომზადდა შენიშვნები 2015 წლის ბიუჯეტის შედგენისას, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი ქალაქში გზების რეაბილიტაციის, სოციალური მომსახურებების გაუმჯობესების, სოციალურად დაუცველების სოციალური დახმარების საკითხებზე.
2. 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მე და ფრაქციის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში ვიყავით ჩართულები, რაც მოიცავდა ოლიმპიადის ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურის დროულად გამართვის, სტუმართა მიღებისა და თავად ოლიმპიადის ცერემონიალის ორგანიზებაში მონაწილეობის საკითხებს.
3. მე, პირადად მივიღე მონაწილეობა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელ სამუშაოებში, სადაც აგრეთვე ვმონაწილეობდი მოსახლეობისთვის პირველადი საჭიროების

ნივთების მომარაგების პროცესში, ვეხმარებოდი ვაკის გამგეობას კონკრეტულ საქმიანობებში.

სტიქიის შემდგომ, ივლისის თვეში, საკრებულოში მერიის მიერ შემოტანილ იქნა პროექტი სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ. აქტიურად ვიყავი ჩართული წესის შემუშავების პროცესში. ჩემს მიერ წარდგენილ იქნა არაერთი ინიციატივა, რომელიც უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარებას ემსახურებოდა. კერძოდ, ამ ადამიანებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ, ერთჯერადი დახმარებების გაცემის შესახებ, საცხოვრებლით უზრუნველყოფამდე მათთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის შესახებ და სხვა. წარმოდგენილი ინიციატივები სრულად იქნა გათავლისწინებული საკრებულოს წევრების მიერ. დღემდე, ვარ მომხრე სტიქიის შედეგად დაზარალებულებს აუნაზღაურდეთ ავტომანქანების დაზიანების შედეგად მიღებული ზიანი.

4. აქტიურად მივიღე მონაწილეობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო იურიდიული პირის ,,ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის" დაფუძნების შესახებ საკითხების განხილვაში. აგრეთვე, ვმონაწილებდი ლილოს ნაგავსაყრელთან შექმნილი პრობლემატური

საკითხების გადაწყვეტის გზების შემუშავებასთან დაკავშირებით თითქმის ყველა შეხვედრაში.

ინფორმაცია ამომრჩევლებთან ურთიერთობის, მათი წერილების წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ.

მე, დავით უთმელიძე 2015 წ. შევხვდი 70 -მდე მოქალაქეს, გაცემული მაქვს 29 შუამდგომლობა, 4 რეკომენდაცია. განცხადებათა უმრავლესობა ძირითადად შეეხებოდა შემდეგ სოციალურ საკითხებს:

1. მედიკამენტების შეძენა
2. მკურნალობისა და ოპერაციის დაფინანსება
3. სოციალური აგენტის ვიზიტი და სტატუსის მინიჭება
4. განათლებასთან დაკავშირებული საკითხები
5. კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის პრობლემები
6. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
7. დასაქმება
8. ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მიერ მაქსიმალურად იქნა დაკმაყოფილებული მოქალაქეთა მოთხოვნები არსებული კანონმდებლობის თანხმად.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია.

ვარ, ქ.თბილისის მერიის ,,ნაგავშემკრები მანქანებისა და სხვა სპეციალური ტექნიკის შესყიდვის მიზნით ტექნიკური პირობების სრულყოფის, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე გარემოს შექმნისთვის პოტენციური მიმწოდებლისგან ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარმოდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელში არსებული სანათების დიოდურ სანათებზე (LED) გადასვლის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვიყავი ჩართული.

ვიყავი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საატესტაციო კომისიის წევრი 2-ჯერ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო კომისიის წევრი.

2015 წლის მაისში დავესწარი პოლონეთის ქ.კრაკოვში გამართულ ევროპის ადგილობრივ ხელისუფალთა კონგრესს, სადაც აქტიური მონაწილეობა მივიღე თანმხლებ ღონისძიებებში, საიდანაც გამოვყოფდი: „ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ახალი მოდელი" და „როგორ მივაღწიოთ წარმატებას ევროსაბჭოს გრანტების მოპოვებაში", სადაც სადიკუსიო პანელის ფორმატში იქნა განხილული ახალი ფინანსური პერსპექტივა, როგორ გამოვიყენოთ ეფექტურად ევროპული ფინანსები და ადგილობრივი ბრენდების ექსპანსია საერთაშორისო მასშტაბზე. აღნიშნულზე და სხვა ღონისძიებებზე დაწერილი მაქვს მოხსენება ვიზიტთან დაკავშირებით.

2015 წ. სექტემბერში დავესწარი ქ.კრინიცაში ეკონომიკურ ფორუმს, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო დელეგაციები, ბიზნეს წრეების წარმომადგენლები. ქართულ დელეგაციასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობდი სადიკუსიო პანელის ფორმატში, რომელშიც განიხილებოდა ჩვენთვის მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ფორუმის ფარგლებში დაიგეგმა 2016 წ. პოლონეთში საქართველოს დღეების ჩატარება,

სადაც მოხდება ჩვენი ნაწარმის და ქ.თბილისის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქალაქის რეკლამირება და წარმოჩენა.

მასპინძლებმა გამოთქვეს კმაყოფილება ღონისძიებაში ქართული მხარის მონაწილეობასთან დაკავშირებით და გამოთქვეს მზადყოფნა თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე.

აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს 2015 წლის 1იანვარი - 2015 წლის ოქტომბერი საანგარიშო პერიოდს.